ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 200

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გიორგი უკლებასათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივნისის N181 განკარგულების საფუძველზე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან გამომდინარე:

მუხლი 1. შეუწყდეს გიორგი უკლებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის წევრის უფლებამოსილება 2019 წლის 27 ივნისიდან.

მუხლი 2. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის N26 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობა საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. გარდაფხაძე ვლასი
2. გვენეტაძე ლაშა
3. არჩაია ელეონორა
4. წულეისკირი დათო.“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია